ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5331100

ნომერი: AR1810765

თარიღი : 15.03.2021

გაცემის თარიღი : 18.03.2021

გაცნობის თარიღი : 22.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. გათვალისწინებული 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით; წარმოდგენილი იქნას ჭრილის ნახაზი საპროექტო და არსებული ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით (სადაც გამოჩნდება პანდუსის სიმაღლე), ნახაზზე დეტალურად ინქას მითითებული ზომები და ნიშნულები. ასევე აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოეწყოს პნადუსის მოაჯირები. ასევე დაცული იქნას მისაწვდომობის სტანდარტები (მინიმალური გასავლელის სიგანეები)

2. წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია, წარმოდგენილ იქნეს ვადაში მყოფი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.
შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.